თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №48
2026 წლის 17 აპრილი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04.02.2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 210070000.35.126.016144) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების დანართი № 2-ის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 4. მოსაკრებლის განაკვეთი, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1.მოსაკრებლის განაკვეთი, როგორც წესი, წესდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისთვის.

2. მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა გაიანგარიშება სულადობის მიხედვით, კერძოდ:

ა) მოსახლეობისათვის – ერთ სულ მოსახლეზე – 1,00 ლარი თვეში;

ბ) ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით;

გ) მოსახლეობისთვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 ან 70 000-ზე დაბალია – 0,50 ლარი თვეში;

დ) ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის – 0,50 ლარი თვეში.

3. იურიდიული პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება თვეში 1$მ^3$ -ზე 16 ლარის ოდენობით და გაიანგარიშება ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმის, ნარჩენების გატანის ღირებულებისა და შესაბამისი ზომის ერთეულის კომბინაციით, კერძოდ:

M=G/12*R, სადაც:

M არის ერთი თვის მოსაკრებელი (ლარი);

G – ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა $მ^3$;

R – მოსაკრებლის ოდენობა 1მ^3 ნარჩენზე – 16 ლარი.

ა) იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობაც მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მოსაკრებლის გაანგარიშება მოხდება კომპლექსურად (ცალკეული საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე გადასახდელ მოსაკრებელთა ჯამი) შესაბამისი ფორმულის მიხედვით;

ბ) ორგანიზებული ბაზრობისა და სავაჭრო ცენტრებისათვის დასუფთავების მოსაკრებელი განისაზღვრება კომპლექსურად (არსებული ცალკეული სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებიდან გამომდინარე გადასახდელ მოსაკრებელთა ჯამით);

გ)საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასუფთავების მოსაკრებელი განისაზღვრება აღსაზრდელების/მოსწავლეების/სტუდენტების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით.

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი გამოიწერება იმ უძრავი ქონების მესაკუთრეზე, რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

5. საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელი პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ ელექტროენერგიის მრიცხველი, დასუფთავების მოსაკრებელი დაერიცხებათ იმ აბონენტზე, რომლითაც მარაგდებიან ელექტროენერგიით ან/და იხდიან ელექტროენერგიის გადასახადს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსაკრებლის გადახდის ქვითარი ორგანიზაციების, იურიდიული პირებისათვის, ინდივიდუალური მეწარმისა და დაწესებულებებისათვის გამოიწერება აბონენტის (ელექტროენერგიის მრიცხველის მესაკუთრის) სახელზე.

7. იმ საცხოვრებელ ფართზე, სადაც რეგისტრირებულია ერთზე მეტი მრიცხველი, მოსაკრებელი დაერიცხება ერთ-ერთ მრიცხველს, ხოლო აღნიშნულ მისამართზე არსებულ სხვა მრიცხველებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დარიცხვა არ განხორციელდება, თუ არ გამოვლინდა სხვა გარემოება (მესამე პირისათვის საყოფაცხოვრებო ფართის ქირავნობით, გირავნობით ან სხვა ფორმით სარგებლობაში გადაცემის ფაქტი).

8. ამხანაგობის შემთხვევაში, ამხანაგობის ყველა წევრთა თანხმობისას, ქვითარი გამოიწერება ამხანაგობის სახელზე. ამ შემთხვევაში ამხანაგობა წერილობით მიმართავს სამსახურს და წარუდგენს ყველა მესაკუთრის თანხმობის დამადასტურებელ საბუთს.

9. მოსაკრებლის გადახდის ქვითარი ორგანიზაციების, იურიდიული პირებისათვის, ინდივიდუალური მეწარმისა და დაწესებულებებისათვის გამოიწერება იმ ორგანიზაციის, დაწესებულების, ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სახელზე, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

10. მოსაკრებელი შეიძლება გადახდილ იქნეს მოსაკრებლის გადამხდელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ.

11. ნარჩენების წარმომქმნელი ფიზიკური პირების რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში მიმდინარე თვის მოსაკრებელი იფარება ცვლილების გაუთვალისწინებლად.

12. მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ყოფილმა მესაკუთრემ, მოიჯარემ ან მოსარგებლემ მოსაკრებლის მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს იმ თვის ბოლომდე, რომელშიც მოხდა საკუთრების გადაცემა/დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში აბონენტზე არსებული მოსაკრებლის დავალიანების გადახდის ვალდებულება დაეკისრება ახალ მესაკუთრეს.

13. მოიჯარის ან მოსარგებლის მიერ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში დავალიანების გადახდის ვალდებულება ეკისრება მესაკუთრეს.“.

2. დადგენილების დანართის № 2-ის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 9. პასუხისმგებლობა მოსაკრებლის გადახდევინებისათვის

1. მოსაკრებლების გადახდევინებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ან/და შესაბამის ოპერატორს თერჯოლის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსაკრებლის ამოსაღებად იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

№	საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჯგუფების ჩამონათვალი საქმიანობის სფეროს მიხედვით	ზომის ერთეული	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა $მ^3$	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე სვეტი (№4)/12 თვე * 16 ლარი (მოსაკრებლის ოდენობა $1მ^3$ ნარჩენზე)
1	2	3	4	5
1.	მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი.	საერთო ფართის 1 $მ^2$	0.06	0.08
2.	სახელმწიფო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1 $მ^2$	0.0225	0.03
3.	ოფისი, სააგენტო და პროფესიული ორგანიზაცია	საერთო ფართის 1 $მ^2$	0.0825	0.11
4.	კინოთეატრი და თეატრი	მაყურებლის ერთი სავარძელი	0.1575	0.21
5.	საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი	ერთ აღსაზრდელზე	0.2	0,27
6.	უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა, კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი	ერთ მოსწავლეზე	0.0975	0.13
7.	სასტუმრო (კვების ბლოკის გარეშე)	მომსახურების ერთეული – ერთი საწოლი	3.75	5
8.	მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება	საერთო ფართის 1 $მ^2$	0.1125	0.15
9.	პოლიკლინიკა, სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო კაბინეტი, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი	საერთო ფართის $1მ^2$	0.435	0.58
10.	აფთიაქი	საერთო ფართის $1მ^2$	0.5475	0.73
11.	სტადიონი, ღია ტიპის სპორტული მოედანი	საერთო ფართობის $1მ^2$	0.037	0,05
12.	დახურული ტიპის სპორტული დარბაზი	დახურული ფართის $1მ^2$	0.2475	0.33
13.	სასურსათო, შერეული საქონლის და სხვა დასახელების მარკეტი (მაღაზია)	სავაჭრო ფართის $1მ^2$	0.675	0.9
14.	სამრეწველო საქონლის მაღაზია	საერთო ფართის $1მ^2$	0.375	0.5
15.	ბანკი, ლომბარდი, საკრედიტო საფინანსო ორგანიზაცია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	საერთო ფართის $1მ^2$	0.3975	0.53
16.	აგრარული ბაზრობა	ერთი ადგილი	0.465	0.62
	სამრეწველო და შერეული საქონლის			

17.	ბაზრობა, ყვავილების ღია და დახურული მაღაზია	საერთო ფართის 1მ^2	0.3375	0.45
18.	ავტოსადგომი	საერთო ფართის 1მ^2	0.135	0.18
19.	ბენზინგასამართი სადგური	საერთო ფართის 1მ^2	0.6	0.8
20.	სადალაქო, სილამაზის სალონი	საერთო ფართის 1მ^2	0.675	0.9
21.	რესტორანი, კაფე, ბარი, სასადილო და სწრაფი კვების ობიექტი, პიცერია	ერთი დასაჯდომი ადგილი	1.875	2.5
22.	საცხობი და საკონდიტრო	საერთო ფართის 1მ^2	0.5625	0.75
23.	ტოტალიზატორი, სისტემურ-ელექტრონული აპარატი და სხვა სათამაშო კლუბი	საერთო ფართის 1მ^2	0.75	1
24.	საავტომობილო სადგური	საერთო ფართის 1მ^2	0.3	0.4
25.	ღია ტიპის დასვენების და გასართობი ადგილი, სკვერი, ბაღი, მღვიმე	საერთო ფართის 1მ^2	0.03	0.04
26.	ატრაქციონი, აკვა-პარკი	საერთო ფართის 1მ^2	0.075	0.1
27.	სამხედრო ნაწილი, პენიტენციალური სისტემა	ერთი ადგილი	0.6	0.8
28.	ავტოტექმომსახურების სადგური, სახელოსნო, ავტოსამრეცხაო	საერთო ფართის 1მ^2	0.3375	0.45
29.	საბითუმო და სამაცივრო საწყობი და ბაზარი	საერთო ფართის 1მ^2	0.3	0.4
30.	საბანკეტო და სარიტუალო დარბაზი	საერთო ფართის 1მ^2	0.2475	0.33
31.	სადურგლო, მეტალოპლასტმასის, მინის დაჭრისა და სხვა სახელოსნო	საერთო ფართის 1 მ^2	0.5625	0.75
32.	სანერგე მეურნეობა, სათბური	საერთო ფართის 1 მ^2	0.075	0.1

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული პირების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის:

M=G*R, სადაც

M არის ერთი თვის მოსაკრებელი (ლარი);

G – მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

R – ზომის ერთეული (ფართობი 1მ^2, ერთი სავარძელი, ერთი აღსაზრდელი, ერთი მოსწავლე, ერთი საწოლი, ერთი დასაჯდომი, ერთი ადგილი).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სოსო ჩაფიჩაძე